ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2026 წლის 4 თებერვალი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.05.2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016579) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ორგანიზაციულ და სამართლებრივ დახმარებას უწევს საკრებულოს თანამდებობის პირებს და საკრებულოს სხვა წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებისას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **იოსები ქარუმაშვილი**